№ 224
ოქტომბრის 20, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 224
ოქტომბრის 20, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

155

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ღირს 2 მანეთი და 75 კაპეიკი

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 10-ს ოკდომბერს, დღისით 1-ს საათზედ, გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო, 80 კაცისთვის. საავადმყოფოში წლოვანების და სქესის განურჩევლად მიიღება ყველა ავადმყოფი: ყვავილით, წითელათი, ხუნაგით, ქუნთრუშით, სახადით მხოლოდ მამრნი. მოვლა-შენახვა უფასოა. მიღება ყოველთვის შეიძლება. ავადმყოფთა ნახვა შეიძლება **კვირაობით, სამშაბათობით და პარასკეობით** 2—4 საათამდე. ძუძუ მწოვარ ბავშვებს 4 წლისაზე ნაკლებს მიიღებენ დედებთან ერთად, თუ ამას საავადმყოფოს ადმინისტრაცია საჭიროდ დაინახავს. ოთხი წლისაზედ მეტის ხნის ბავშვებს მიიღებენ უდედოდ. მშობლებს ნება ეძლევათ, თუ მოისურვებენ, მიიწვიონ თავის ხარჯით საავადმყოფოში განსაკუთრებულის მოვლისათვის მოწყალე დანი, რომელთა სასარგებლოდ უნდა გადიხადონ დღეში 40 კაპ., გადამდები სენით ავადმყოფთა მოსაყვანად სადეზინფექციო კამერასთან არის განსაკუთრებული ეტლი. ტელეფონი 172. ავადმყოფთა მოყვანა უფასოა. საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, ახალ ტროიცკის მოსახლეობა.

(3—6.—3)

ჟირარდის მანუფაკტურის სააქციონერო საზოგადოების

საწყობში

ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.

მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლაგდიისა, აბრეშუმისა და შალის საგნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჟები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.

Crèpe de santè და ნაძვისა

კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(17—1)

დონერ—ლეიფცი.

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი. 1882 წ

ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66.

(30—6.—18)

№ 7. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 ოკდომბერს, 1902 წ.

დილის წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

დილის 12 საათზედ
პირველად ახალი პიესა

I

შრომის ლუკმა

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. ევდოშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ბ. რონელი.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, და სხვ.;

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე, პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ. მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი“ „ავადმყოფნი“ „პატიოსნება“ „უბედურ ვარსკვლავზე“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, კვირას, 20-ს ოკდომბერს,
ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმედებად მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვან-დერბრანდტი, სკორუპსკისა, ბაუერი; ბ-ნნი ლენსკი, პოლუიანოვი, პეტროვი, კაზიმირო, პევცოვი, სვობოდინი და სხ.

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა

ხვალ, ორშაბათს, 2 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქნება ოპერა „**მეფის სასძლო**“. მზადდება წარმოსადგენად ოპერა „**მარგალიტის მაძიებელნი**“ მუზიკა ბიზესი.

ივ. ფითოევი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე.

(წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.

წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად

შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლალიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

ჯიბის კალენდარი.

ტფილისი

✦ დღეს, 20 ოკდომბერს, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ის გარდაცვალების დღეს სიონის საკათედრო ტაძარში მათი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი ალექსი გარდაიხდის წირვას და შემდეგ პანაშვიდს.

✦ გუშინ ქალაქის მოურავის თანადასწრებით ექიმები შეუდგნენ იმ ყმაწვილ კაცების ჯანმრთელობის შემოწმებას, რომელნიც გაწვეულნი არიან წრეულს სამხედრო ბეგარაში.

✦ ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება და გამოვა გასასყიდად ახალი წიგნი რუსულს ენაზედ „Вліяніе протокціонизма и тарифа на сельско-хозяйственный кризисъ“, ე. იოსელიანისა.

✦ დღეს, ქართულს თეატრში, ქართულ დრამატიულ დასისაგან გამართული იქნება დილის წარმოდგენა დაკლებულის ფასებით; წარმოადგენენ ოსტროვსკის ოთხ-მოქმედებიან კომედიას „შრომის ლუკმა“, თარგმნილს ევდოშვილის მიერ.

✦ ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგეობამ წარმოუდგინა კავკასიის სამეურნეო საბჭოს პროექტი იმ ხელშეკრულობისა, რომელიც უნდა დაიდოს საბჭოსა და თავ. ამილახვარის შორის მამულის თაობაზედ. ამ მამულს თ. ამილახვარი საბაღოსნო სკოლას ათის წლის ვადით უთმობს. მამული სოღანლუღშია. როგორც პირობის პროექტიდან სჩანს, ამილახვარს წლიური იჯარა ამ მამულისა უნდა მიეცეს საბჭოსაგან 50 მანეთი; (გარკვევით არ არის ნათქვამი, მთლად მამულში თუ თითო დესეტინაში). პირველ წლის ხარჯი საბაღოსნო სკოლისა არ აღემატება 1650 მანეთს. ათის წლის შემდეგ საბაღოსნო სკოლა დასტოვებს ამილახვარის სასარგებლოდ ყოველსავე მოწყობილობას, რაც-კი სკოლას ექნება უკანასკნელ წელიწადში.

✦ დღეს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია იმათი კრება, რომელთაც მიენდოთ ჯილდოზედ წარმოდგენილ პიესების განხილვა.

✦ გაზ. „С.-Петербург. Вѣдом.“-ის № 252-ში დასტამბულია ჩვენის თანამემამულის წერილი ბ-ნ ა. ხახანაშვილისა—„Какъ уладить грко—груз. споръ на Аѳонѣ“.

✦ გუშინ, 19 ოკდომბერს, დილის ცხრა საათზედ კოჯრისკენ გაემგზავრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი და მისი თანაშემწე ბ-ნი ფრეზე, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ძეგლის კურთხევას.

✦ დღეს, 20 ოკდომბერს, ქალების პირველ დედათა გიმნაზიაში დანიშნულია მასწავლებელთა და აღმზრდელ ქალთა კრება.

✦ მომავალ ხუთშაბათს ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებელი კომისია გადასწყვეტს ვის მიეცეს ის სტიპენდია, რომელიც თავისუფალია ქალების პირველ დედათა გიმნაზიაში. აქამომდე ამ სტიპენდიის მისაღებად კომისიისათვის მიურთმევიათ თხოვნა 75 ღარიბ მოსწავლე ქალს. თხოვნების მირთმევა კიდევ შეიძლება.

✦ დღეს, 20 ოკდომბერს, ახალქალაქსა და ახალციხეს ტფილისიდგან გაემგზავრება ოლქის სასამართლოს სესია.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წარუდგინა ელისავეტპოლის გუბერნატორ-

მა ყველა ის ცნობა, თუ რა ადგილს როგორა ფასობს ამ ჟამად სხვა-და-სხვა ხორბლეულობა.

◆ ხუთშაბათს, 24 ოკდომბერს, დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ხორბლის ვაჭრობის წესიერად მოწყობის საქმე კავკასიაში; ამ კომისიის წევრთა კრებას მოხსენდება ბ-ნ ევანგულოვის წინადადება, ბირჟისა და ელევატორების დაარსების შესახებ სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოებებისთვის; მეორე მოხსენებას წაიკითხავს ბ-ნი ღამბართვი, სამეურნეო მწარმოებლების და ვაჭართა ამხანაგობის დაარსების შესახებ ჩვენში.

◆ საგუბერნიო ალმშენებელმა განყოფილებამ, თანახმად გუბერნატორის ბრძანებისა, მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რაც შეიძლება მალე წარმოგვიდგინეთ ცნობანი, დამტკიცებულია თუ არა მთავრობისაგან ის ნიხრი, რასაც იღებენ ნავებით გადასვლელ-გადმოსვლელებზედ მტკვარზედ ვერის ხიდის ზევით და დიდუბის ეკკლესიის გასწვრივაო. წარმოგვიდგინეთ აგრედვე ყველა ცნობა, რაც შეეხება ამისთანა ნავ-ბორანსაო, აგრედვე ისიც, რა ფასად არის გაცემული ეს ადგილები იჯარით, რამდენს იგებს მოიჯარადრე, რა ეხარჯება და ვის აქვს იჯარითაო; გამგეობამ გვაცნობოს აგრედვე თავისი მოსაზრება ამ ადგილების შესახებ და ამასთანავე ისიც, თუ რამდენად შეეფერება ეხლანდელი ნიხრი ახლანდელს ცხოვრების ვითარებასაო. საჭიროა შეიცვალოს ეს ნიხრი, ან რანაირად მოაკლდეს ან მოემატოსო, კიდევ, სად უფრო საჭიროა მალე ნიხრის შეცვლაო.

◆ გუშინ, ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა პოლტავის ქალაქის მოურავის ყველა ის დაწვრილებითი ცნობა, რაც შეეხება ქალაქში ხორცის დუქნების დამართვის საქმეს.

◆ ქალაქის გამგეობამ აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა, რომ გამგეობისათვის მიენიჭებინა უფლება ისეთი წესი შემოეღოთ, რომლის ძალითაც ტფილისისა და ნავთლუღის სადგურებზედ ყოველს მოტანილს ფუთს სავაჭროს გარდახდეს ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი; გუშინ ქალაქის გამგეობამ ხელმეორედ გაჰგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში ქაღალდი და სთხოვს, რადგანაც ამ ცოტა ხანში გამგეობა აპირებს ახალის წესით ქუჩებში ქვაფენილის დაგებას და ამ საქმის განხორციელება თითქმის მაგაზეა დამოკიდებულიო, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ შეგვატყობინოთ პასუხი ჩვენ მიერ 22 თიბათვეს მორთმეულ თხოვნაზედაო.

◆ როდესაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთ დაიწყეს განხილვა უმაღლესად დამტკიცებული პროგრამისა, მაშინ ბევრმა განაცხადა, რომ კარგი იქნება ამავე პროგრამის განხილვაში იღებდნენ მონაწილეობას განყოფილებანი ქუთაისისა, განჯისა, ერევნისა და ბაქოსი; ამაზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა თავ. პ. ა. გრუზინსკიმ გუშინ ქაღალდით მიჰმართა ამა განყოფილებათა გამგეთ და სთხოვა, გვაცნობეთ, რამდენად შესაძლებელია თქვენს ქალაქში ამ პროგრამის განხილვა, ან სად შეიძლება ამ საგნისთვის კრების დანიშვნა, ან თუ შესაძლებელია დაგვისახელეთ ისინი, ვისაც შეიძლება მივანდოთ ამ კრებათა ხელმძღვანელობაო.

◆ მომავალ 8 ნოემბერს პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას შეუსრულდება 25 წლის არსებობა, ამ დღეს აკურთხებენ რიყეზედ ამ საზოგადოებისათვის ახლად გამართულს სამკურნალოს და ამ დღესვე მოჰხდება წევრთა სადღესასწაულო კრება.

◆ საბებიო ინსტიტუტის გამგის თხოვნისამებრ, ქალაქის გამგეობამ დანიშნა ამ ინსტიტუტში ორი სტიპენდია მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ, რომელიც უნდა მიეცეს ორს ღარიბ მოსწავლე ქალს, ქალაქის გამგეობას მოუთხოვნია ცნობანი ინსტიტუტში მოსწავლეთა ღარიბ ქალების შესახებ; სტიპენდიების დაინიშნება ნოემბრის დამდეგს.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქისვე ალმშენებელ განყოფილების გამგეს ბ-ნ ეფინჯიანცს, რომ შეედგინა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებიანა ხელშეკრულობის პირობანი ერთის მხრივ ქალაქისა და მეორეს მხრივ ინჟინრებ — ხატისოვისა და ბრაილოვსკის შორის, რომენლიც სოლოლაკის მთაში გვირაბის გათხრის კონცესსიას ითხოვენ საბოტანიკო ბაღამდე; ამ ჟამად ხელშეკრულობის პირობანი უკვე მზად არის, რომელიც ამ მოკლე ხანში განიხილება გამგეობისა და კომისიის წევრთა შეერთებულ კრებაზედ.

◆ კავკასიის უმაღლეს მთავრობას გაუუქმებია პირველისა და მესამე რაიონების არჩევნები.

◆ ტფილისის გუბერნიის ალმშენებელ განყოფილებას ამ ჟამად უკვე დაუთავებია ყოველივე ტეხნიკური სამუშაო და შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა გორში ახალის ხიდის გისაკეთებლად. ამ ხიდის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინება კავკასიის მთავარმართებელს, რომელსაც უნდა ეთხოვოს საჭირო თანხა ხიდის გასაკეთებლად.

◆ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეეკითხა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, საჭიროა თუ არა სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსდეს იმისთანა ბიურო, რომელსაც შეეძლოს მემამულეთ მიაწოდოს ყოველივე ცნობანი მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ და აგრეთვე გაუწიოს ყოველივე შუამავლობა ამა თუ იმ ფირმებთანაო; კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მინისტრისთვის დაამზადა პასუხი, რომელშიაც აღნიშნა, რომ არამც თუ საჭიროაო, არამედ სავალდებულც-კიაო ჩვენთვის. პასუხი ამ დღეებში გაიგზავნება სამინისტროში.

◆ ახლად ჯარში გაყვანილ ყმაწვილ კაცებს საზოგადოდ რაღაც ჟრიამული აქვთ ხოლმე ყოველ წელს; წრეულაც ერთი ამბავი დაწიეს. გუშინ პუშკინის ქუჩაზედ კონკის ვაგონიდან გადმოეგდოთ კონდუქტორი და მეეტლე და მათ მაგივრობას თითონ ასრულებდნენ: ისე გაევსოთ ვაგონი, რომ ვაგონის სახურავებზედაც-კი ასულიყვნენ; ამას გარდა, ამავე დღეს პუშკინის ქუჩაზედ ხილის ვაჭრებს დაუპნიეს და დასტაცეს ხილი; ერთს სპარსელს ესეც არ აკმარეს და თავპირი დაამტვრიეს ცემით.

◆ ორშაბათს, 21 ოკდომბერს, დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც მისდობილი აქვს ქალაქის საქონლის თივისთვის სათივეებისა და ეზოების დამართვის მოწყობის საქმეს.

◆ ტფილისის სასტუმროების პატრონებმა შეიტანეს საჩივარი, რომ ამ ბოლოს დროს ბევრი იღებს კერძო სახლებს და მერე თითო ოთახობით აქირავებსო; ამით ჩვენ ზარალი გვეძლევა და ითხოვეს. ხარჯი ამათთვისაც შეეწერა გამგეობას; გამგეობის წევრმა, ბ-ნმა კოკჩაევმა ჯერ საქმე დაავალა ვაჭრობის უფროს მეთვალყურეს ბ-ნ ბაბოვს, რომელსაც უნდა წარედგინა დაწვრილებით ცნობა ამის შესახებ. ბაბოვმა განუცხადა თავის აზრი კოკჩაევს, რომ ჩემის მხრივ, ეს უწესოება იქნებაო, რომ სახლის პატრონებზედ კიდევ რაიმე ხარჯი გავაწეროთ, რადგანაც ისეც შევიწროებულნი არიან წვრილმან ხარჯითაო; ბაბოვი დასძენს, რომ ეს მოვლენა მაინცა და მაინც ძალიან არ არის გავრცელებული ქალაქში, და სასტუმროების პატრონთა ჩივილი უსაფუძვლოაო.

◆ ქალაქის საავადმყოფოს გამგემ ბ-ნმა თარხანოვმა მიართვა ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვა, რადგანაც წლის დამლევამდე საავადმყოფოს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დასჭირდება ფული და ხარჯთ-აღრიცხვით გადაჭრილი ფული-კი გამოილიაო, ამიტომ გთხოვთ რომელისამე თანხიდგან, ან მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან მისცეთ ამ საავადმყოფოს საჭირო ფულიო. თარხანოვის ვარაუდით, ამ საავადმყოფოს წლის დამლევამდე კიდევ მოუნდება 2,099 მანეთი 20 კაპ.

◆ დღეს დაიწყებს ვაჭრობას სხვა-და-სხვა სანოვაგით ფრინველის მომშენებელი ამხანაგობა „კოლხიდა“ ბ-ნ ალ. ნებიერიძის მოთავეობით. ფარდული დადგეს იარმუკაში სავაჭრო პოლიციის კანტორის გვერდზე. ამხანაგობას, როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, აზრად აქვს შინაურის ფრინველის ჯიშის გაუმჯობესობა, მოშენება და გასყიდვა. ამასთანავე ამხანაგობა ეცდება გაჰყიდოს საუკეთესო კვერცხი, ქათამი, ბატი, ინდაური, წიწილები, იხვი და სხვ., როგორც დაკლული ისე დასაკლავი, რამდენადაც-კი შეიძლება იაფად. მსურველთ შეუძლიანთ თავის თვალწინ დააკვლევინონ და გააკეთებინონ ფრინველი. ამხანაგობის კანტორა არის იარმუკაშივე ვანქის სახლებში, სადაც უწინ სამუსიკო სასწავლებელი იყო და სადაც ახლა მოთავსებულია ე. ხელაძის სტამბა.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. პარასკევს, 18 ამა ოკდომბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნული იყო ამავე საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კავკასიაში არსებული დაბალი ტიპის სამეურნეო სასოფლო სასწავლებლები და რა გვარი ტიპის სამეურნეო სასწავლებელია ამ ჟამად უფრო საჭირო ჩვენის ქვეყნის მეურნეობის უფრო ნაყოფიერ და რაციონალურ ნიადაგზე დასამყარებლად. კრება დაიწყო საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე უგანათლებულესის თავადის პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის თავმჯდომარეობით. ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენების წაკითხვამდის საზოგადოების მდივანმა ბ-ნ ევნატე იოსელიანმა თავმჯდომარეს წინადადებით წაიკითხა საზოგადოების წევრთა კრების 4 და 15 ოკდომბრის ოქმები. თავმჯდომარემ ოქმების წაკითხვის შემდეგ სთხოვა დამსწრე საზოგადოების წევრთ გამოეთქვათ თავისი შენიშვნები წაკითხულ ოქმების გამო. საზოგადოების წევრმა ბ-ნმა სააკოვმა განაცხადა, რომ ოქმებიდგან არა სჩანს, რა მდგომარეობაშია სოფლელ მეურნეთა საერთო კრების მოწვევის საქმე. თავმჯდომარემ თ-დმა გრუზინსკიმ მოკლეთ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ მეურნეთა საერთო კრების მოწვევა განზრახულია ტფილისსა და გორში და საბჭო სცდილობს შეძლებისა და გვარად მოკლე ხანში განახორციელოს საზოგადოების წევრთა საერთო სურვილი.

ამის შემდეგ ბ-ნმა ტიმოფეევმა წაიკითხა თავისი მოკლე მოხსენება ზემო დასახელებულ საგნის შესახებ და, სამწუხაროდ, აღიარა ის გარემოება, რომ მთელს კავკასიაში ამ ჟამად არა თუ უმაღლესი, არამედ არც ერთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი არ არსებობსო. დაბალი სამეურნეო სასწავლებლები, რომელთა რაოდენობა კავკასიაში სულ მცირეა, სრულიად ვერ აკმაყოფილებს მკვიდრთა მოთხოვნილებას. აწინდელ მდაბალ სამეურნეო სასწავლებელში ორთაშუა რიცხვით 60 მოწაფე სწავლობს და კიდევაც, რომ ეს მოწაფენი საფუძვლიან სამეურნეო ცოდნას იძენდენ დასახელებულ სკოლებში, მაშინაც ასე სიმცირის გამო ნაყოფიერ კვალს ვერ გაავლებდნენ ასეთს დიდს სამეურნეო ტერიტორიაზე, როგორიცაა კავკასია. გარნა ნამდვილად საქმის ჭეშმარიტი ვითარება ისეთია, რომ მოხსენებული მდაბალი სკოლები ცუდ საფუძველზე არიან დამყარებულნი, მათი აწინდელი ორგანიზაცია ვერაა სასურველად მოწესრიგებული და ამიტომაც ამ სასწავლებლების მოწაფენი სწავლის დამთავრების შემდეგ უმეტეს შემთხვევაში თავის დანიშნულებას ღირსეულად ვერ ასრულებენ.

დაბალ სამეურნეო სასწავლებლებში არსებული სამოსწავლო გეგმის მიხედვით სწარმოებს პრაქტიკული მუშაობა, თეორეტიკულად სწავლის შეძენა თითქმის განდევნილია. სამი წლის განმავლობაში მოწაფენი ვარჯიშობენ საზოგადო საგნების შესწავლაში და აქაც თავის დანიშნულებას ვერ აღწევენ. ამის გამო დაბალ სასწავლებლებში კურს დამთავრებულები ცხოვრებაში მიწის შემუშავებას ვერ ახერხებენ, სამეურნეო ასპარეზზე მუშაობას გაურბიან და ისეთს ხელობას ჰკიდებენ ხელს, როგორიცაა „პრიკაზჩიკობა“ და სხვა. გარდა ამისა ამ სკოლების ნაყოფიერებას მეტად აფერხებს ის გარემოებაც, რომ ამ სასწავლებლებში ებარებიან სხვა სასწავლებლებიდან უნიჭობისა და სიცუდის გამო განდევნილები, რომელნიც, რასაკვირველია, დაბალ სამეურნეო სკოლებშიაც ვერ იჩენენ სწავლის სიყვარულს და უნარს და მით აფერხებენ ამ სკოლების საზოგადო ნაყოფიერებას. არსებული მევენახეობისა, ხილეულობისა და სხვა სამეურნეო დარგთა პრაქტიკული სკოლები მეურნეობის სრულიად პრაქტიკულად შესწავლის საქმეს ემსახურება, თეორეტიკულად საქმის ვითარების შესწავლას სრულიად თითქმის ადგილი არა აქვს დათმობილი, და ეს ძნელი მოსახერხებელიც იქმნებოდა, რადგანაც ამ სკოლებში ერთი ან ორი წლის კურსია და ასე თუ ისე თეორიის შესასწავლად ავდრიანი დღეები, როცა პრაქტიკანტები თავისუფალნი არიან პრაქტიკულის მუშაობისაგან. ამგვარი სკოლის მაგიერობას სავსებით გასწევდა რაციონალურად მოწყობილი დაბალი სამეურნეო სასწავლებლები. **სახალხო სკოლები** თავის პირდაპირ დანიშნულებასაც დიდის გაჭირვებით აღწევენ. ამ სკოლების ნივთიერი უსახსრობა, მასწავლებლების მოუმზადებლობა სრულიად უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ ხდის სამეურნეო ცოდნის შეძენის საქმეს. მართალია, წლიურ ანგარიშებში ხშირად ვკითხულობთ ამა თუ იმ სკოლის ნაყოფიერად მოქმედებას სამეურნეო სარბიელზედ, მხოლოდ ესეთი კეთილდღეობა, ესეთი წარმატება ქაღალდზეა, სკოლაში-კი ნამდვილად ვერაფელს სანუგეშო სურათს ვერა ვხედავთ. **სამოქალაქო** და **ნორმალურ სკოლების** შესახებაც თითქმის ამავე აზრისაა ბ-ნი რეფერენტი. ამ სკოლებშიაც ნივთიერი უსახსრობა ბევრად ხელს უშლის სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეს. ყველა ამას ისეც ემატება, რომ სამეურნეო საგნების ამ სკოლებში სპეციალისტი მასწავლებელნი პირდაპირ დამოკიდებულნი არიან არა სპეციალისტ ინსპექტორებისაგან, რაიცა საქმის ვითარებას უფრო ხელს უშლის. ამ ნაირად ბ-ნი ტიმოფეევის აზრით აწინდელი მდაბალი სამეურნეო სასწავლებლები ცუდის ორგანიზაციის გამო ვერ ამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც საზოგადოება და მთავრობა მათზე ამყარებს, ეს სკოლები ამ სახით სამეურნეო ცოდნას თავის დღეში ვერ გაავრცელებენ ხალხში. მრავალ-ფეროვანი პირობანი, რომელშიაც ამ ჟამად ჩაყენებულია ეკონომიურად კავკასია, აუცილებლად საჭიროებს უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელს განსაკუთრებულ სამეურნეო ცენტრებში ტფილისისა, ქუთაისისა და სხვა გუბერნიებში საშუალო სამეურნეო სასწავლებლებს. სწორედ ამგვარ სასწავლებლებს შეუძლიანთ რაციანალურ ნიადაგზედ დაამყარონ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, გაავრცელონ ხალხში მეცნიერულად დასაბუთებული სამეურნეო ცოდნა, რაიც ჩვენს დაქვეითებულს და პატრიარქალურ მეურნეობას ფეხზე წამოაყენებს და ღირსეულ სისხლ-ხორცს შეასხამს. გარდა ამისა, ბ-ნი რეფერენტის აზრით, მეურნეობის უფრო ნაყოფიერად განვითარების საქმეს მეტად ხელს შეუწყობს მკვიდრთა მიწათა საკუთრების მოწესრიგება, იაფ ფასიანი კრედიტის შემოღება და სხვა-და-სხვა გადასახადთა ასე თუ ისე შემცირება.

მოხსენებამ წევრთა შორის ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ყველა ორატორნი, გარდა ერთისა, უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას აუცილებელ საჭიროებად ხდიდნენ.

ბ-ნი ევანგულოვი ეკითხება ბ-ნ რეფერენტს, ადგილობრივ ენებს როგორი მნიშვნელობა ექმნება მომავალ სამეურნეო სასწავლებლებში, ეს ენები სავალდებულო იქნებიან, თუ სხვათა შორის ისწავლებიან. ბ-ნი ტიმოფეევი ადგილობრივ ენების შესახებ იმ აზრისაა, რომ მდაბალ სასწავლებლებში ეს ენები სავალდებულოდ უნდა გახდეს, ხოლო საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში-კი საგნების მთელი სწავლება რუსული ენის საშუალებით უნდა სწარმოებდესო. ბ-ნი როტინიანცი სრულიად ეთანხმება ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენებაში აღნიშნულ მოსაზრებას და აუცილებელ საჭიროებად ხდის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას. როცა ეს უმთავრესი საჭიროება იქნება დაკმაყოფილებული ბ-ნი როტინიანცის აზრით, მხოლოდ შემდეგ შეიძლება მსჯელობა სახალხო სამეურნეო სკოლების ამა თუ იმ ორგანიზაციის შესახებ ლაპარაკი. ბ-ნი სოკოლოვსკი უერთდება ბ-ნ ტიმოფეევის აზრს და აღნიშნავს, რომ მართლაც არსებული ამ ჟამად სამეურნეო სკოლები ვერ მოქმედებენ სასურ-

ფელეტონი

ცხელ-ცხელი ამბები

(შესავალი)

იყო დრო, რომ ჩემი „ცხელ-ცხელი ამბები“ ცეცხლს უკიდებდა მკითხველს და მაშინდელი დათუთქულები, ჯერაც კიდევ ვერ გაგრილებულან.

„კაცო, ქრისტიანო!—გამოცვალე, ან სულ გადააგდე, ეგ შენი ეკლის წვერა კალამიო—მირჩევდნენ მეგობრები—ფრთხილად, თვარა, სამაგიეროს გადაგხდება და მტრობას სამარეში თან ჩაიტანო!“ ასრულდა მათი წინასწარმეტყველობა:

„მეტი წილი ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე;
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი არ ვსტირი!“

მეგობრები, რომ უმიზეზოდ არ მაფრთხილებდნენ, ამას მე მაშინაც ვგრძნობდი, მაგრამ „მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო?“ მე მაინც ჩემ გამხმარ კალამს არა ვსცვლიდი იმ მსუქან კალამზე, რომელსაც „ადვოკატი“ და „ოცი რიცხვი“ აკრავს წვერზე. და თუ-კი მაშინ, როდესაც ცხოვრების გზა გძელი მქონდა გასავლელი, არ შემშინებია, დღეს, როცა კუბოს კარამდე ბევრი აღარა დამრჩა-რა, ვიღას უნდა შევუშინდე, რომ გავექცე?..—დეე, დამეხვიონ გაზაფხულზე ჭინჭველები, ზაფხულში კოღოები და შემოდგომისას ბუზები, ვერ გამაწყვეტინებენ სიმღერას და მე მაინც მამა-პაპურად შემოვსძახებ: „მუმლი მუხასაო!“ და თუ ახლოს არა, შორიდან მაინც გამიჩნდებიან თანამომღერლები და ბანს არ დამამადლიან. გულს არ გავიტეხ!.. გატეხილი გული ლაყე კვერცხის ხეჭუჭია, მთელი-კი ფოლადის საგანძური!.. და მეც ისე ვსწირავ, როგორც დღემდის მიწირავს!.. რას დავსდევ მტრების მითქმა-მოთქმას? სიცოცხლეშივე რომ იმათთვის მოვიცალო და ავჰყვე—შევებრძოლო, ეს დიდი უანგარიშობა იქნება ჩემგან. განა სიკვდილის შემდეგ-კი ვერ მოვერევი მტრებს?

ჩემი სიკვდილი, მათი ცოცხლადვე დამარხვა იქნება. და ჩემი, გულზე ჯვარის სახედ დაწყობილი ხელები, კრიჭას აუკვრენ მათ მითქმა-მოთქმას. და ახლა-კი სანამ, ცოცხალი ვარ, სხვათა შორის, „ცხელ-ცხელ ამბებსაც“ ისევ დავუბრუნდები.—კარგიაო—მეტყვიან ღრეჭით ნაცარქექა ვაჟბატონები—მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ ყვავილები გაზაფხულმა იცის და შენ-კი შემოდგომაც მიგწურვიაო!—მართალია!.. ეს სათვალ-დათვალო შენიშვნაა! მაგრამ გაზაფხულსა და შემოდგომას შუა რომ საიდუმლო კავშირია გაბმული, არც ის უნდა გამოეპაროს გონების თვალს? გაზაფხულს თუ ყვავილები მოაქვს—შემოდგომას ნაყოფი და ეს ორი რამ უერთმანეთოდ არ არსებობენ. და ამიტომაც ვერ უკიჟინებს გაზაფხული შემოდგომას. ეგ, ვსთქვათ, მართალიაო, მიპასუხებენ სანაცარქექიო ქალბატონებით, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ, მთაზე რომ დათოვს, ბარშიაც სიგრილე დაჰკრავს და თავს რომ ჭაღარა დათოვს, მაშინ დაბლაც, გულიც გრილდებაო. და ცხელ-ცხელს რაღას შეიძლებს ეგ შენი გულიო, ვინ იცის?.. ყველაზე ერთნაირად არ სჭრის ზოგიერთი საზოგადო კანონი. მაგალითად: როდესაც ტფილისის მიდამო სიცივით გაშეშებული, თოვლქვეშ მიცოცხალმკვდარებულია ხოლმე, იმავე დროს ახლო-მახლო მთის კალთებიდან გოგირდის აბანოები მდუღარედ გამოჩუხჩუხებენ ნეკრესის ქარებით და მუნით შეპყრობილების განკურნებლად!.. მართალია რომ მეც

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი
წვერი შემექნა ჭაღარა!..
ის აღარა ვარ რაც ვიყავ,
სხვებსაც ვუნდებვარ აღარა,
მაგრამ ჯერ კიდევ ხმაურობს
ჩემი დაფი და ნაღარა?

—

და ვერ მოვიძულებ იმ ჩემ მტანჯველ კალამს, ათ მოყვარეზე რომ ას მტერს მიჩენს და ას მაქებარზე, ათას მგმობელს! მაინც ჩემია და ჩემი! ზოგჯერ შეგნებული ტანჯვა სჯობია, შეუგნებელ განცხრომას!.. მუშა ოხვრით, კვნესით ხნავს და სთესავს, ზარმაცი-კი სიმღერით სჭამს სხვის მონაგვარს, მაგრამ სად უფრო მეტი სანუგეშო სიტკბოა იმ ორში, მუშის ოხვრა-კვნესაში, თუ ზარმაც ნაყროვანის სიმღერა-ურიალში, ის, მართლა, რომ საგულისხმოა. მტერ-მოყვრობაც ასეა: ვინც სულ მარტო მოყვრობას დაეძებს და მტრობას გაურბის, ის ეგოისტია, თავის თავის მეტი არა უყვარს-რა, უგულოა და

„უგულო კაცი ვერ კაცობს,
კაცთაგან განაკიდია!..

ადამიანი თვითონ უნდა იყოს ქვეყნის მოყვარე და თუ ქვეყანა შეიძულებს რა გაეწყობა? ვის უნახავს ავადმყოფი ბაეშვი, რომ მკურნალი ჰყვარებოდეს. ეჯავრება, პირში მწარე წამალს რათ მასხამსო? რა იცის, რომ ის სიმწარე მისი სამკურნალოა? და სანამ არ გაიზდება ვერც მიხვდება!..

მწერლობაც იგივე მკურნალობაა და ვისაც ეს არ ესმის კალამს რათ აწუხებს?.. და თუ ესმის, ფარისევლის კვერთხად რად იჭერს ხელში? მიტომ რომ მკითხველები მოატყუოს და ქვეყანას თვალი აუხვიოს? არა, შერცხვეს მისთანა კალამი, რომელიც კარგს კუპიდონის ისარივით ტკბილად არ უხიცინებს გულში და ავს-კი შხამ-ისარსავით არ უმწარებს სისხლსა და ხორცს!.. უტყუარს კალამს, მხოლოდ ღირსეულს, შეჰფერის ეს „ქებათა-ქება:“

ოქრო და ვერცხლზე ძვირფასო
პატარა ბატის კალამო!
შხამ-ისარა ხარ მჩაგვრელის
და ჩაგრულების მალამო!..

—

ახადე ავ-კარგს პირ-ბადე,
ნურაფერს ნუ დამალამო.
დაამხოს დასამხობელი
შენმა სიმართლის ძალამო!

—

ხომ ხედავ, ჩვენი ქვეყანა
ფარისევლებით სავსეა.
ძველები ახლებს სწუნობენ...
ახლებზე ძველი ხავსია?!

—

მამა შვილს უკეფს და მამას
შვილი ჰკბენს გამეტებითა,
ორივე მოტყუებული;
ერთად მტრის წაქეზებითა.

—

თაღლითი პატრიოტობა
დღეს ჩვენში სახად—სენია.
სუყველა „ვაშას“ იძახის
თვალთ-მაქცობს და არ რცხვენია!

—

სამშობლოს ხელზე იხვევენ
მხოლოდ პირბადედ... ფარადა!..
მაღლობზე ვითომ ვარდს ჰკრეფენ,
ეკალს-კი სთესენ ბარადა!

—

უღირსი აქებს უღირსებს...
ქურდი ქურდს მოწმობს ფიცითა,
ვინ სტყუა? ვინ მართალია?
ვიბნევით აღარ ვიცითა!

—

მაგრამ შენ იცი სუყველა
გამოცდილი ხარ კალამო
და ყველა გამოამჟღავნე
სიმართლეს ნუ დამალამო.

—

დაჰყევი ჰიათურიდგან
ჩამოუარე ბანკებსა,
ქალაქის თვითმართველობას,
ბევრჯელ ნაგინებ-ნაქებსა

—

სხვა-და-სხვა ამხანაგობას
და ზოგ-ზოგ რედაქციებსა
კუჭის სენი სჭირთ, ხანდახან
იმათაც-კი აცივებსა.

აკაკი.

ველად. ამიტომ ორატორის აზრით არსებული წესდებანი სკოლების წარმოებისა უნდა შეიცვალოს იმ სახით, რომ სამეურნეო სკოლები განცალკევებით უნდა არსებობდეს, თავის საკუთარს დანიშნულებას, მხოლოდ სამეურნეო განვითარების საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ამ სკოლებისათვის მასწავლებლები უნდა მომზადებულ იქმნან საფუძვლიანათ. ტფილისმა, ბაქომ ბ სამეურნეო საზოგადოებამ საჭიროა აღძრან, სადაც ჯერ არს, სათანადო შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას პოლიტეხნიკუმი, რომლის შესანახად ადგილობრივმა საზოგადოებამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ამ პოლიტეხნიკუმთან დაარსდება სამთო, ქიმიური და სხვა განყოფილებანი, საიდანაც გამოვლენ სხვათა შორის მომზადებულნი მასწავლებელნი ზემოდასახელებულ სკოლებისათვისაც. ქვარიანი ფიქრობს, რომ, სანამ კავკასიაში საერო დაწესებულებათ არ შემოვიღებთ, სანამ იაფ ფასიან კრედიტს არ გავაჩენთ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ვითარებას არ შევისწავლით, მანამდის არც ერთი ტიპის სამეურნეო სკოლა, უმაღლესი იქმნება იგი თუ საშუალო ან მდაბალი, სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს, ჩვენი ქვეყანა ისევ დღევანდელ ეკონომიურს კრიზისს ვერ ასცდება. ბ-ნი ევანგულოვი ამტკიცებს, სამეურნეო ცოდნათა გავრცელება ხალხში ადგილობრივ ენების საშუალებით შესაძლოა. ეს ენები სავალდებულო საგნად უნდა იქმნას შემოღებული. რაც შეეხება უმაღლესი სამეურნეო სასწვავლებლის ჩვენ ქვეყანაში დაარსებას, ვგონებთ, ამის წინააღმდეგი არავინ არ იქმნება. გარნა თუ ერთმა აქ დამსწრეთაგანმა წინააღმდეგობა გამოაცხადა, ეს უბრალო „გაუგებრობის„ ნაყოფია. ბ-ნი პეტრე სურგულაძემ თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებდა, რომ საზოგადო განათლება ანაყოფიერებს. მეტად ხელს უწყობს სამეურნეო ცოდნის გავრცელების და ნაყოფიერად წარმოების საქმეს. ორატორმა თავისი აზრის დასამტკიცებლად მოიყვანა სხვა-და-სხვა ადგილები მოსკოვის თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების გამოცემებიდან და ამასთანავე ამერიკის მიწათმოქმედების მინისტრის აზრი. ბ-ნი სურგულაძე დაწვრილებით შეეხო არსებულ საეურნეო სასწავლებელთა ორგანიზაციის საქმეს და სამწუხაროდ აღიარა, რომ ეს სასწავლებლები თავის დანიშნულებას სრულიად არ ემსახურებიან, პირიქით ამ სკოლების მეოხებით მოწაფენი და მასწავლებელნი ზოგჯერ არა სასურველ მოქმედებას ეწევიან. არავისათვის დაფარული ფაქტი არაა, რომ ამ სამეურნეო განყოფილებათა მეოხებით მოწაფენი ქურდობასაც-კი ეჩვევიან. მასწავლებელი უბრძანებს შეგირდებს აბრეშუმის ჭიების გამოსაკვებად თუთის ფოთლები მოზიდე სკოლაშიო, მოწაფე-კი, როცა ოჯახში ვერ შოვნილობს თუთის ფოთოლს, იპარავს და ისე ეზიდება სკოლაში. ორატორის აზრით ეს ისეთი მწვავე და ამასთანავე საფუძვლიანად გამოსარკვევი საკითხია, რომ საჭიროა სამეურნეო საზოგადოებამ უფრო სერიოზული ყურადღება მიაქციოს და კარგად აწონ-დაწონოს საქმის ვითარება, სანამ ამა თუ იმ საბოლოო რაიმე დასკვნას დაადგენდეს. სულთან-კრიმ გირეიმ ის აზრი განმარტა, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დიდი ღვაწლი დასდო კავკასიის სამეურნეო საქმის მოსაწესრიგებლად და სასურველია, რომ სამინისტრომ ამ სახით მომავალშიაც არ მოგვაკლოს თავისი ყურადღება. ბ-ნმა საკოვმა საზოგადოების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, თუ ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელება არ ხერხდება ამ ჟამად, ამის მიზეზი მამულის შემოუსავლობააო, ხალხს მამულისაგან ხარჯიც ვერ დაუფარავს და აბა როგორ უნდა გააუმჯობესოს თავისი მამული, როგორ უნდა მოახერხოს ამა თუ იმ სამეურნეო ცოდნის შეძენა. სტატისტიკური ცნობებიდან სჩანსო, განაგრძო ბ-ნმა საკოვმა, რომ მამულის სრული შემოსავალი ორთა შუა რიცხვით თვითოეულ სულზე სქესთა მიუხედავად განისაზღვრება ქუთაისის გუბერნიაში 45 მან.. ერევნისაში — 40 მან., ზანგეზურის მაზრაში — 36 მან., სიღნახის მაზრაში — 106 მან., გერმანელთა ახალ-შენებში — 306 მან., ხოლო ამავე დროს ხარჯია ერევნის გუბ.— 36 მან., ქუთაისის გუბ.— 47., ზანგეზურის მაზრაში— 38 მან., სიღნახისაში — 39 მან. და გერმანელთა ახალშენებში 297 მან.

გარდა ამისა სამეურნეო ცოდნათა ხალხში გავრცელებას ერთი-ორად ხელს უწყობს მკვიდრთა საზოგადო კულტურა. მეო, განაგრძო ბ-ნმა საკოვმა, სამსახურის გამო აგერ ათი წელიწადია ვმოღვაწეობ სამეურნეო ასპარეზზედ და გულახდით უნდა მოვახსენო, რომ პირველი პიონერები, რომელიც ერთგულად ხელს მიჰყობდნენ სამეურნეო ცოდნათა ცნობების გავრცელების საქმეში, იყვნენ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნენი. რაც შეეხება იმას, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს სამეურნეო საგნების სწავლა, ჩემის აზრით, პირველ წლიწადს ადგილობრივ ენებს უნდა დაეთმოს უპირატესობაო. და ბოლოს ორატორმა განმარტა, რომ ამ ჟამად კავკასიაში სასოფლო მეურნეობა დიდ კრიზისშია ჩავარდნილი, მიწის შემუშავება პატრიარქალურის, პრიმიტიულის წესით სწარმოებს და ამიტომ აუცილებლივ საჭიროა ისეთი მოღვაწენი, რომელთაც შეეძლოთ ახალი გაუმჯობესებული გზების ჩვენება, მეურნეობის ახალს და ნორმალურ კალაპოტში მოთავსება, ერთი სიტყვით ინტენსიური მეურნეობის შექმნა. ამ გვარი მოღვაწეები შესაძლოა მოგვცეს მხოლოდ უმაღლესმა სამეურნეო სასწავლებელმა და ამგვარ უმაღლეს სასწავლებლად მე უმჯობესად მიმაჩნია პოლიტეხნიკუმიო. საზოგადოების მდივანი ბ-ნი ევნატე იოსელიანი ამტკიცებს, რომ, სანამ უმაღლეს სასწავლებელს დავიარსებდეთ, დიდი ხანი გაივლის, და ამიტომ საჭიროა საშუალო სამეურნეო სასწავლებლებს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და მათი დაარსების დრო დავაჩქაროთ.

მცირე კამათის შემდეგ საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული კომისიის არჩევა, რომელსაც დაევალა არა უგვიანეს მომავალ კრებისათვის წარმოადგინონ დასაბუთებული აზრი ბ-ნი ტიმოფეევის საყურადღებო მოხსენების შესახებ.

კომისიაში არჩეულ იქმნენ ბ-ნნი საკოვი, სოკოლოვსკი და ტიმოფეევი.

კრება დამთავრდა ღამის 12 საათზე.

ჩვენებური ამბები

ცხინვალი: 17 ოკდომბერს ჩამოიყვანეს აქ ოდესმე სახელ-განთქმული ყაჩაღი ვარდან ხუთიგური, რომელიც გაგზავნილი იყო ციმბირში სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის. ვარდანა ციმბირიდან გამოპარულია აგერ რამდენი ხანია და ოსებში თურმე იფარავდა დღემდე თავსა.

ქუთაისი: აქაურმა ვაჭრებმა განიზრახეს სთხოვონ ქალაქის თავს, რომ მარტო კვირაობით მთელი დღე იკეტებოდეს დუქნები. როგორც შევიტყვეთ, თხოვნა უკვე დაუმზადებიათ და ხელის-მოწერას შესდგომიან.

ლეჩხუმი. ადგილ-მამულის მფლობლობის წესი ძალიან შეიცვალა ჩენში; ძველად მამა-პაპათა მიერ დატოვებული ადგილ-მამული, თუ შენ თვითონ არ გასცემდი, არ გაყიდდი, სხვისაგან ხელ შეუხებელ-შეუდავებელი, საშვილი-შვილო საკუთრება იყო. ეხლა-კი ყოველ დღე იმის ფიქრს და ზრუნვაში უნდა იყო თითოეული მემამულე, რომ შენი სამკვიდრო მიწა-წყალი ახალ-მოდურის ხრიკებით ხელიდამ არავინ გამოგაცალოს და ულუკმა-პუროდ არ დაგტოვოს. საკმაო ეხლანდელს დროში მგზავრად გაიაროს ვინმემ შენს მამულს მიწა-წყალზე, დასასვენებლად დაჯდეს, რომ აღნიშნული მამული მფლობელობითა და სარგებლობით თავისად აღიაროს, და თუ თავის საკუთარის ძალღონით ვერ წაგართვა, სამართლის წესით მაინც დავა და საჩივარი გაგიმართოს და ათასი ხარჯი და დავიდარაბა მოგახვიოს თავზე.

დიახ,—მიწათ მფლობელობის საქმე ისე აირია ჩვენში, რომ ვერც ერთი მემამულე ველარ ახერხებს თავის სამკვიდრო ადგილ-მამული დაიცვას და შეინარჩუნოს. რომელს მემამულეს შეუძლია ჩვენში თითოეულს ნაკვეთ ადგილში დარაჯი დააყენოს, რომ თავის ადგილში სხვა კაცი ან სხვისი საქონელი არ გაატაროს!

ჩვენი სამაზრო სასამართლოების საქმეები რომ გადასინჯოთ, ნახავთ, რომ უმთავრესი ადგილი უკავია მათში ადგილ-მამულზე ატეხილს დავა-საჩივრებს; ადგილ-მამულების გამოცემა-ტყუების, კაცის კვლის ამბებს.

ადგილობრივს სასამართლოებში მემკვიდრეობითი პატრონი სადაო მამულისა, უმეტეს შემთხვევაში, დამარცხებული და წაგებული რჩება. ცრუ მოწმების მეოხებით ნამდვილს მეპატრონეს ხშირად ხელიდამ ეცლება თავისი სამკვიდრო ადგილ-მამული. მომრიგებელ-მოსამართლეს არა აქვს უფლება, სადაო მამული თუ ორიათას მანეთზე მეტი ღირს, გაარჩიოს საქმე და დაადგინოს განაჩენი. გაიძვერა მოპასუხეს ამის მეტი არა სჭირდება-რა, რომ მომჩივარი, კანონიერი მეპატრონე სადავოდ გამხდარ მამულისა, თემიდის ტაძრიდამ პანღურ ნაკრავი გამოისტუმროს.

მრავალი მაგალითია, რომ ორისა თუ სამის თუმნის საღირალი ადგილი ათას თუმნად შეუფასებია გაიძვერა მოპასუხეს და ამნაირად დაუნარჩუნებია თავის საკუთრებად სხვისი კუთვნილი ადგილი. ოლქის სასამართლოში გასვლა და იქ საქმის დაწყება უმეტეს ნაწილს არ ეხერხება და მეტი ღონე აღარა რჩება, რომ სამუდამოდ გამოესალმოს თავის მარჩენელ ადგილ-მამულს...

საქმის ასეთი ვითარება ძალიან აღონებს ჩვენის მაზრის მემამულეებს. იმის მეტი ღონე აღარა აქვთ, რომ მუშტარი იშოვონ და გაჰყიდონ სამკვიდრო ამდგილ-მამული. თავის გასამართლებლად-კი ის საბუთი მოაქვსთ, რომ ვერ დავიცევით მამული, დღეს არა, ხვალ ვინმე ავსული წაგვართმევსო და ის არა სჯობია; ჩემი ლუკმა მევე შევსჭამოვო.

ამ გზით სვლა ჩვენის მემამულე თავად-აზნაურობისა, არა გვგონია, სასურველი იყოს. ჩვენის თავად-აზნაურობის ცხოვრების ერთად ერთს წყაროს შეადგენს ადგილ-მამული და როდესაც ეს წყარო დაშრება, მიწა გამოეცლებათ ხელიდამ, რაღა წყარო დარჩებათ არსებობისა და ცხოვრებისათვის...

ჩვენ უკვე გავიგეთ ნამდვილის წყაროებიდგან, რომ სწავლა-განათლების უმაღლეს მთავრობას უკვე გადმოუხედავს მოწყალე თვალით ლეჩხუმისათვის და გარდაუწყვეტია სამ-კლასიანი სასწავლებელი გახსნას ამ მაზრაში. არც ერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა არა სდგას ისე დაბლა სწავლა-ცოდნის მხრით, როგორც ლეჩხუმი. ჩვენი უბედურება იქიდან მომდინარეობს, რომ ათასში ერთხელ მაინც რომ გაგვიღიმოს ბედმა და გვეწვიოს, კარს არ გავუღებთ, ბინას არ ვაძლევთ, რომ დაისადგუროს ჩვენშორის, წიხლს ვკრავთ და უკან ვაბრუნებთ. .

ვშიშობ, ვაი თუ ეს ჩვენი შესისხლ-ხორცებული ზნე და პირადი ინტერესების თაყვანის ცემა ეხლაც შეიქნეს მიზეზად მონიჭებულ ბედნიერების შეფერხებისა...

საქმე ის არის, რომ მომავალ სასწავლებლის ცაგერში დაფუძნება სასარგებლოდ არ მიაჩნია ლეჩხუმის მკვიდრთა იმ ნაწილს, რომელიც წინააღმდეგი იყო ცაგერში სასამართლოების გადატანისა და დაფუძნებისა. ესენი იმ აზრს ადგანან, რომ ცაგერში თუ გახსნეს აღნიშნული სასწავლებელი, იმ შემთხვევაში სკოლით ერთნაირად ვერ ისარგებლებენ მთელის მაზრის მკვიდრნიო. სკოლა მოჰფენს მხოლოდ ცაგერის მახლობლად მცხოვრებ ხალხში პირველ დაწყებით სწავლასა და მაზრის მკვიდრთა უმრავლესობა-კი დღევანდელსავე მდგომარეობაში დარჩებაო, რადგანაც ცაგერში ბავშვების მიყვანა, დაბინავება და რჩენა უმეტესობისათვის ყოვლად მოუხერხებელიაო.

ამას წინად მაზრის უფროსი ბ. ყიფიანი მობრძანდა ჭყვიშის საზოგადოებაში და გამოუცხადა ხალხს სკოლის დაარსების ამბავი და ამასთან ისიც, რომ ხალხი უნდი დაეხმაროს ნივთიერის მხრით მთავრობას სკოლის დაარსების საქმეშიო. ხალხმა დიდის სამოვნებით მიიღო ეს ამბავი და არც დახმარების უარი უთქვამს, სანამ არ გაიგო სასწავლებელი ცაგერში დაფუძნდებაო. ამის მოსმენის შემდეგ-კი ხალხმა სრულიად გამოიცვალა სახე და აზრი, მხიარულების ადგილი ჭმუნვამ დაიჭირა. ცაგერში თუ დაფუძნდა, ჩვენთვის სრულიად უსარგებლო იქნება და ვერც არაფერს შემწეობას გამოვიღებთო. ესევე პასუხი მოუხსენებია მაზრის უფროსისათვის ლაილაშის საზოგადოებას და, როგორც სჩანს, რამოდენიმე სხვა საზოგადოებაც ამგვარსავე პასუხს ამზადებს.

ამნაირად, როგორც ვხედავთ, ბედმა რომ ცაგერს გინდ უნივერსიტეტი არგუნოს, ლეჩხუმის სხვა-და-სხვა სოფლები და საზოგადოებანი უსათუოდ, აურ-ზაურს ასტეხენ, რომ ცაგერი ძირს დასცენ, უნივერსიტეტის გახსნას ლეჩხუმში ნაადრევად სცნობენ.

ნათქვამია; „თვით არ იყო ძმარიო, შეურიეს წყალიო.“ ჯერ შეერთებული ძალ-ღონეც ლეჩხუმისა სუსტია, რომ ეხლანდელს ცხოვრებაში წარმატების გზა გაიკაფოს და დანაწილებული, დაწვრილმანებული რაღა იქნება?! სასურველია, ლეჩხუმის მოწინავე კაცებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება თავის მაზრის ახალთაობის აღზრდის საქმეს, შეათანხმოს როგორმე ლეჩხუმის მკვიდრნი და დაპირებული სკოლა ისეთს ადგილზე დააფუძნონ, სადაც მაზრის მკვიდრთა საერთოდ შეეძლოთ მითი სარგებლობა...

ქაიხოსრო გელოვანი.

კავკასია

ბაქო. ბაქოს ოლქის სასამართლომ გაარჩია ამ დღეებში საქმე მიხეილ ჩერნიკოვისა, რომელსაც ბრალდება სადგურის უფროსის თანაშემწის მესხის მოკვლა. ჩერნიკოვი დამნაშავეთ იქმნა ცნობილი და გადაუწყვიტეს ათის წლით მაღნებში მუშაობა.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს, გზათა სამინისტროს და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა თანადასწრებით 14 ოკდომბერს დაიწყო მოქმედება იმ კომისიამ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს იაფ-ფასიან და რკინის გზის უფასო ბილეთების გამოცემის საქმე. ეს ბილეთები იქნება იმათთვის, ვინც თავიანთ ხელმოკლეობისა და სამუშაოს უქონლობისა გამო სამშობლოში ვერ დაბრუნებულან.

— როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, რუსეთის რკინის გზის სადგურთ უფროსებს მიენიჭებათ ის უფლებანი, რომლითაც სარგებლობენ სახელმწიფოს ამა თუ იმ დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელენიო.

— როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, მოსკოვის სალიტერატურო სამხატვრო საზოგადოების წევრთა კრებას ერთხმად ამოურჩევია საზოგადოების პირველ საპატიო წევრად გრ. ლ. ნ. ტოლსტოი, სახსოვრად მისის 50 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობისა.

— ქალთა შორის სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მიწად მოქმედების სამინისტროში, რათა დაარსებულ იქმნას რუსეთში ქალებისთვის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი.

— სინოდმა განმარტა, რომ სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებელთა და კონსისტორიებში მოსამსახურეთა შვილები იმ პირობით უნდა იქმნან მიღებულნი სასულიერო სასწავლებლებში, როგორც მღვდლების შვილებიო.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც მკითხველმა უწყის, კამათი მადნის მუშათა გაფიცვის შესახებ იმით გათავდა, რომ პალატის დიდმა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

ფორმულა, რომლითაც ნდობა გამოუცხადა მთავრობას, რის შემდეგაც მორიგ საქმეებს უნდა შესდგომოდნენ, მემარცხენეთა სამის სხვა-და-სხვა დასის მეთაურებმა წარმოადგინეს: სარრიენმა (რადიკალმა), ჟორესმა (სოციალისტია) და გუზომ (რადიკალ-სოციალისტმა); თვით ფორმულას რედაქცია შემდეგია; „პალატამ მიიღო-რა სახეში მინისტრ-პრეზიდენტის დაპირება, ორთავე პალატაში ვეცდები—მალე განიხილონ საჭირო რეფორმების პროექტები მთა-მადნის მუშათა მდგომარეობის შესახებაო და, რადგან სწამს სამინისტროს სიმტკიცე და სიბრძნე, რომლითაც იგი ესარჩლება, როგორც შრომის, ისე გაფიცვის თავისუფლებას,—მოუწოდა მთავრობას, ყოველივე ღონე იღონოს და დაარწმუნოს ორთავე მოპირდაპირე მხარე, რომ სამედიატორო სამართალს მიმართონო“. ეს ფორმულა მიღებულ იქმნა 3756 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 164-ისა.

თანახმად ამ დადგენილებისა, მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა მაშინვე მისცა წინადადება მუშებსა და მრეწველებს—შუამდგომლობას გაგიწევთო. მეორე დღეს მიიწვია მადნის მუშათა ნაციონალ-მოკავშირეთა წარმომადგენელნი და ორ საათამდე ითათბირა მათთან. იგინი დაჰყაბულდნენ სამედიატორო სამართალს.

ოსმალეთი. „Bevue“-ს უკანასკნელს ნომერში მოთავსებულია მეტად გაბედული წერილი ბაღდადის შეიხის აბდულ-ჰაკისა, საქრისტიანო სახელმწიფოთა მიმართ:

„ჩვენ სრულიადაც არ დაგვიწყებია თქვენი ჯვაროსნობის ომები, რომლის გაგონებასაც კიდევ გვიძაღით, და ამისათვის ხელზედ იხვევთ სხვა-და-სხვა უმნიშვნელო მიზეზებს. მართალია, იარაღით გვძლიეთ, მაგრამ სულიერად-კი ვერ დაგვიმოხავეთ. პოლიტიკურად დაიმკვიდრეთ ბატონობა მუსულმანთა ზედა, მხოლოდ ზნეობრივად უწინდებულებო უთვისონი და საზიზღარნი დარჩით მათთვის. კრისტეან დიპლომატთა და მისსიონერთა მოღვაწეობამ ღრმად ჩასერგა ჩვენს გულში თქვენდამი მძულვარება და ზიზღი. ყოველი თქვენი მისწრაფება კარგად ესმის ყველა მართლმორწმუნეს: თქვენა გსურთ დაამდაბლოთ ისლამი, წაჰბილწოთ იგი და სრულიად წარხოცოთ პირისაგან დედამიწისა. მაგრამ შეგწევთ-კი ამის ძალა? თქვენის ძალმომრეობით შევიწროვებული ისლამი ჰკვნესის და ოხრავს. ხოლო იგი კარგადა ჰგრძნობს თავის ძალას, იცის ფასი თქვენის განათლებისა და კარგადა აქვს გათვალისწინებული ის მდგომარეობაც, რომელშიაც შუა-საუკუნეში იმყოფებოდით. განა მოიპოვება ისეთი შეგნებული ადამიანი, რომელმაც არ უწოდოს ის შავ-ბნელი დრო, როდესაც გონება-დახშული და ზნეობით გათახსირებული ქრისტიანობა უფრო ველურს ხალხს წარმოადგენდა, ვიდრე კულტურულს. ვინ დააყენა ფეხზე ბერძენ-რომაელთა მიერ ევროპაში შემოტანილი სწავლა-მეცნიერება? ვინ გადმოგცათ ყოველის მხრივ გაუმჯობესებული კლასიკური განათლება? რომელ წყაროებიდგან გადმოიღეთ ფილოსოფიური და მათემატიკური მეცნიერების საფუძველი? ვისგან შეიტყეთ პირველად პრინციპი სარწმუნოების თავისუფლებისა? განა ჩვენის წინაპრებისაგან არ მიიღეთ ყოველივე ეს, იმ წინაპართაგან, რომელთაც შეიტანეს უმაღლესი მეცნიერება ევროპაში და მოსდევს იგი ხმელთა-შუა ზღვიდგან დიდ ოკეანემდე? ხელს იგდეთ ჩვენი მემკვიდრეობა, უარჰყავით ჩვენი მნიშვნელობა ჩვენგანვე დამყარებულ სწავლა-განათლების საქმეში; ყოველივე ეს მოურიდებლად მიითვისეთ, დაისაკუთრეთ და უწოდეთ—საქრისტიანო განათლება. არაბებს თავიანთ განათლებისათვის [illegible] „სამაჰმადიანო არ უწოდებიათ, რადგან სთვლიდნენ მას მთელის კაცობრიობის საკუთრებად, სარწმუნოებისა და ეროვნობის განურჩევლად. თქვენის განათლების ნიღაბით აღიძრა სარწმუნოებრივი და ეროვნული უკარებლობა, რომლის წყალობითაც მთელი ქვეყნები გადაეკიდნენ ერთმანეთსა. თქვენ-კი ყოველსავე ამას შეუგნებლობით, თუ განზრახ აწერთ ისლამს, რომელიც ზიზღით უარჰყოფს ასეთ ცილისწამებას და არ სურს რაიმე საერთო იქონიოს თქვენთან. ისმინეთ, ქრისტიანნო, რომელნიც თავს მსოფლიოს ბატონად რაცხთ! ალლაჰ, ბილლაჰ! თქვენს თავგასულობას ცუდი დასასრული მოელის: ისლამი ჯერ კიდევ ისეთი ძლიერია, რომ თქვენ ვერც-კი წარმოგიდგენიათ; არ გაივლის დიდი ხანი, რომ 300,000,000 მუსულმანი, ვით ერთი კაცი, გამოგიმკლავდებათ, და, ვაი თქვენი ბრალი მაშინ. თქვენ საკმარისად მოჰპეზრდით კერპ-თაყვანისმცემ ქვეყნებსაც, ყელში გაეჩხირენით მათ და მოსვენებას აღარ აძლევთ; ჩვენ დიდის სიამოვნებით ვარჩევთ მათთან შეერთებას, ვიდრე თქვენთან ყოფნას. ესაა დევიზი შეუდრეკელის ისლამისა, რომლის უფლებას ასეთის კადნიერებით სთელავთ ფეხ-ქვეშ“.

ინგლისი. ბურ ინგლისელთა სამს წელიწადს გაგრძელებულმა ომმა ევროპას სრულიად გადაავიწყა ის, რომ ინგლისელებს აფრიკაში კიდევ ორ ადგილას აქვთ ომი. ერთი მათგანი ინგლისს, როგორც ეტყობა, ძვირად უჯდება. ინგლისელებს ეომება ველური ხალხია სომალიში. მათ ჰბელადობთ „გიჟი მოლა“.

ქვეყანა სომალი, სადაც ინგლისელებმა 1884 წელს შედგეს პირველად ფეხი, მდებარეობს აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირად, საზღვრავს საფრანგეთის ადგილ ჯიბუტსა, გასდევს ზეილს, ბერბერის მთებს და თავდება გვარდაფუის ქიმით. თუმცა ეს ქვეყანა ეკუთნის აბაშეთს, იტალიასა და ინგლისს, მაგრამ ნამდვილად-კი ეს უკანასკნელნი მფლობელობენ ამ ვრცელ მიდამოებს; მდებარეობით იგი წააგავს სამ-კუთხს, რომლის წვერიც გვარდაფუის ქიმამდე უწევს და გადაჭიმულია ზანზიბარიდან მასსოვებამდე.

არ მოიძებნება მთელ დედამიწის ზურგზედ ისეთი ადგილი, რომელმაც მკვიდრნი ისეთის სიმამაცით და თავზედ ხელ-აღებით სრულიად მიუვალსა ჰხდიდნენ, როგორც სომალი. ბრიტანიის მთავრობამ განიზრახა თავგასულ სომალიელების დამონება: სომალელებს ჰბელადობს ჰაჯი-მაჰმად-აბდულა, მეტის სახელით „გიჟი მოლა“, რომელსაც იგინი სწორედ მონურად ემორჩილებიან.

1901 წელს სომალში გაჰგზავნეს ინდოეთის ჯარები, ინგლისის მთავრობის მიერ საუცხოვოდ გაწვრთნილი, და უფროსობა მიანდეს საგანგებო მოხელეს, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად ჰმოქმედობს თავის წარმომადგენლის ბერბერის კონსულის პირით.

ამ ჯარების რიცხვში იყვნენ ნეგუს მენელიკის მიერ გაგზავნილი ჰაბაშელებიც, რომელთაც უფროსობდა რას-მაკონენი; ინგლისელთ წინ უძღოდათ ეგვიპტესა და სუდანში თავის მოქმედებით განთქმული სვაინი. „გიჟ-მოლას“ ჰყავდა 20 ათასი მეომარი, თუმცა იგინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, და სამხედრო სწავლა ხომ იქ ვის გაუგონია, სამაგიეროდ დიდი ფანატიკოსები არიან და გადაწყვეტილი აქვთ გასწყდნენ თავისუფლების დასაცველად, ოღონდ-კი მონად არავის გაუხდნენ. თუ გაუჭირდათ, მიამურებენ ისეთ უდაბნოებს, სადაც ინგლისელთ არ ძალ-უძთ გამოიჩინონ თავიანთი ცოდნა სამხედრო მოქმედებისა, აქ მეაფარებენ თავს ბუნების შვილნი, ესენი ისე გრძნობენ თავს, როგორც მელა თავის სოროში.

გასულ წელს ინგლის აბაშელთა ექსპედიციამ ვერაფერი ვერ გაარიგა; ვერას გზით ვერ შეიპყრეს „გიჟი-მოლა“, თუმცა ბევრი ეცადნენ. ამ გაზაფხულზედ ინგლისელებმა ხელ-ახლად გაჰგზავნეს 2,000 კაცი და 8 ზარბაზანი შუაგულ სომალში; მათ განზრახვა ჰქონდათ, მოულოდნელად დასცემოდნენ მათ უმთავრეს ჯარსა და მოესპოთ იგი. უნდა შევნიშნოთ, რომ მოლას რაზმებს თოფებიც არა ჰქონდათ, თორემ ზარბაზნებს ხომ ვინ მიაქცევდა. 4-ს ოკდომბერს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოსვლია დეპეშა ბერბერიდან, რომელიც ბურ-ინგლისელთა ომის შემდეგ კლასიკურად გადაიქცა: „თუმცა დიდად ვწუხვარ, მაინც უნდა შეგატყობინოთ, რომ მოერეგოსთან მომხდარ ბრძოლაში ჩვენ შესამჩნევი ზარალი მოგვეცა: მოგვიკლეს პოლკოვნიკი ფილიპსი, კაპიტანი ანგური, 50 ჯარის კაცი; დაჭრილია ას კაცამდე, მათ შორის კაპიტანი გოვარდი და ლეიტენანტი ევერეტი“.

ინგლისში ამ ამბავმა ხალხი დიდად დააჭმუნვა. მაგრამ, თურმე კიდევ უარესი მოელოდათ. იმავე დღეს, 4-ს ოკდომბერს, ინგლისის გარეგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მეორე დეპეშა იმავე ბერბერის კონსულისა. აი, მისი შინაარსი: „23-ს სეკდემბერს, ერეგოსთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი შეშინებულია. მოლა იმყოფება თავის რაზმებით მდ. ვებბის ნაპირებზედ და ხშირი მიმოსვლა აქვს გამართული თავის მეგობარ კარლ ინგერთან. პოლკოვნიკი სვაინი

დაჭრილების გზავნას უნდება და თავისუფლად ვეღარ მოქმედობს. ის ჯარებით იხევს ბოგოტლოსაკენ და თხოულობს ბერბერიდამ დაუყოვნებლივ ჯარებსაო.

რა მოჰხდა 23 სეკდემბრიდან და რა მდგომარეობაში იმყოფება ინგლისის ჯარი სომალში? ამ ამბავმა აალაპარაკა მთელი ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა. ამ კვირის დასწყისს პალატაში კრანბორნის განცხადებამ ინგლისელები დიდად აადელვა. 8 ოკდომბერს, ლონდონიდან ატყობინებენ დეპეშით ბერლინის გაზეთებს:

„აქაურ სამხედრო წრეებში დიდის მწუხარებით ლაპარაკობენ პოლკოვნიკ სვაინის შესახებ, რადგანაც უკან დახევა მაშინ, როცა ამისთანა ბარბაროსებთანა აქვს საქმე კაცს, დიდად საფათერაკო მოძრაობაათ. ხმა დადის, რომ მოლას ამ ჟამად 20—60 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავს, უმეტესად კარგის თოფებით შეიარაღებულიო. სვაინის არტილერია სათქმელი არ არის: ორი, თუ სამი, ზარბაზანი აქვს მაქსიმის ჯურისა, მასთანავე საკმაო სურსათის უქონლობაც ხელს უშლის მის მოქმედებასაო“. კარლ ინგერი, რომელსაც პოლკოვნიკი სვაინი მოლას მრჩევლად ასახელებს, ავსტრიის ჯარში ნამყოფი ოფიცერია და ყველასაგან ცნობილი ავანტიურისტი. ის წინადაც ემსახურებოდა მოლას. 1898 წელს, კარლ ინგერმა, იმავე ემირ სოლიმანმა, შეჰკრიბა ფიუმეში ჯარი და სომალის დაჭერა მოინდომა. სომალი მას უნდოდა სამეფოდ გაეხადნა. მისი გემი, დატვირთული იარაღით და სურსათით, დაატყვევა საფრანგეთის მთავრობამ ჯიბუტში.

სხვა-და-სხვა წერილები

სასოფლო სამეურნეო საჭიროების მკვლევალთა საყურადღებოდ.

III

(დასასრული *)

არა ნაკლები სიამოვნება მშვენიერივე სათემო წესებს მოსახავ ჩვენ სოფლებშიაც. ეს წესები აწერილი მქონდა 1887 წელს „ივერიის“ ფურცლებზე, რუსულმა პრესსამაც-კი თარგმნა იგინი და ეხლა ყოველივე მივიწყებულა. მაგრამ ეს მარტო ჩვენ არ დაგვემართა. 60 და 70 წლებში რუსეთის ინტელიგენციას დიდი სჯა და კამათი ჰქონდა სათემო მიწის მფლობელობის და სხვა სათემო წესების შესახებ. დიდად პატივ-სადებნიც შეიქმნენ მათთვის ეს პრინციპნი, იმ უკიდურესობამდისაც-კი მივიდნენ, რომ ამ პრინციპებზედ რუსეთის მომავალსაც-კი ამყარებდნენ. მაგრამ ბოლოს მრავალი მეტოქენი გამოუჩნდნენ და მათ-შორის უპირატესობა მარქსისტებს ეკუთვნოდათ. რა ბრალი გნებავთ, რომ ამ ფირმებს არ მოსწვიეს? ეს ფირმანი არიან ეპირატესი დობე-დორენი პროგრესისათ. ესენი აფერხებენ რუსეთში ფართო წარმოების შემოსვლას და ეს უკანასკნელი-კი არის საფეხური უმაღლეს ფირმების დამყარებისა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს ფირმებიათ, გაიძახოდნენ მარქსისტები, ჩვენი სიღარიბის, უკან ჩამორჩენის და სოფლის დაბეჩავების მიზეზნიო. ამ იდიოლოდებს დიდმა მრეწველებმა და მემამულეთაც ხმა მისცეს, რადგან ამათი ინტერესები მოითხოვდა ბოგანოთა გამრავლებას და თანაც გაეცხოველდათ წადილი „ერთბაშად გლეხობის ქარხნის ქვაბში ამოშობვისა.“

ღვთით, იდიოლოდები მიჰხვდნენ შეცდომას. მარქსისტობის მესვეურნი სტრუვე, ბულდაკოვი, ტუგან ბარანოვსკი და სხვები დარწმუნდნენ, რომ სისულელე იყო წადილი ხალხის ქარხნის ქვაბში ამოშობვისა; უფრო სასარგებლოდ სცნეს მიწის და შინაურ წარმოებათა კაუმჯობესობაში ხელის შეწყობა და იმიტომაც ამას ჩაუსხდნენ კვალში. მარტო, უკან დახევის დროს, ბევრი სასარგებლო რამენი დასტოვეს უვარგ ბარგ-ბარხანასთან. სხვათა-შორის ვერ შაჰრიგებიან იმ ჰაზრს, რომ სათემო წესებთან შეხამდეს წარმოების გაფართოება... მაგრამ მიეცით ხალხს განათლება, შეუმცირეთ ხარჯი-ბეგარა, გაათანაბრეთ უფლებაში სხვა წოდებასთან, ნუ ედობებით წინ მათ საზოგადო და პირუთვნელ ინტერესებს და შემდეგში მათი უკან ჩამორჩენა გინდ სათემო წესებს მიაწერეთ.

ვინც დაჰკვირვებია სათემო წესებს, ყოველთვის იტყვის, რომ დიდებულნი არიან ეს წესები, მაგრამ, იქნებ, მათ დამყარებაში წილი არ ჰქონდეს ჭკვის შემოქმედებითს ძალას. იქნება იგინი შექმნას უნებურად მიწის ხმარების ძალებს. ახალი, რომელიც შეჰჩხირეს ხალხის ცხოვრებაში, თხოულობს უსწავლელ და უმეცარ ხალხიდან ჭკვის ძალით შექმნილ კოოპერატიულ წესებს. მაგრამ რადგან ხალხს მუდამ უცხოვრია ბუნების ნაკვლევ და დაქნილ გარემოებაში, უმეცრება უსწავლელობის მიზეზით ახალს ვერ იკვლევს... ამას კულტურული კაცი უნდა, ისეთი კულტურული, რომელიც თამამად ბრძანებს: „მე სამოთხიდან გამოძევებული ვარ, შთავარდნილი წყევა-კრულვაში, მაგრამ ძალ-მიძს შევჰქმნა ახალი სამოთხე და, იქნებ, უკეთესიც“... ამის ძალით გერმანელ ახალშენელებს მშვენივრად შეუხამებიათ ძველი სათემო წესები ახალ კოოპერატიულთან... ნახირი სუპატორთან და სხვ... ჩვენი ხალხი ძველს გამოჰსალმებია და ახალს რას წაეპოტინოს, ამას მესვეური ინტელიგენტიც ვერ უხსნის.

შარშან ზაფხულში ბ. მიხა ნასიძემ „ივერიის“ ფელეტონებში ამ ხმაურობის მიმყოლმა გაკიცხა ქიზიყის სათემო წესები... მარქსისტები ევროპიულ ინდუვიდუალიზმის ბრმა მიმდევარნი და ჩვენი ცხოვრების-კი უმეცარნი მრავალნი გვყვანან ჩვენ, ამიტომ სათემო წესების დავიწყებას, ოჯახების გაყრა-დაქუცმაცებას, სოფლიდან ხალხის ქალაქში ჩამოსახლებას და გაბოგანოებას, სოფლის წახდენას დაფითა და ზეიმით უხვდებიან ხშირად... ასევე უხვდებიან ბევრნი მიწის გადასვლას სხვათა ხელში; მეურნეობის განვითარებას აბუჩად იგდებენ... ხვნა-თესვა, ვენახის მოვლას ყველა შესძლებსო, დღეს გლეხი ქალაქს ჩამოვა, ბიჭად გახდება, მერე ისევ მიწას შეიძენს და ადვილად მოუვლისო... როდესაც გლეხობა და სოფლის მეურნეული წარმოებანი დიდ ცოდნას და რამდენიმე თაობის გამოცდილებას თხოულობენ... ძნელია, გლეხობა, მეტადრე ქართლ-კახეთში: იმერეთი სხვა გარემოებაშია. იქ „ხუტორული“ ცხოვრება ზედ გამოჭრილი და მას ევროპიული ინდუვიდუალიზმიც-კი ცოტაოდნად შეეხამება;—სხვაა ქართლ-კახეთი. აქ იმ თავით საერთო ცხოვრებას შესჩვევია ხალხი. იმერელს მჭადი-ღომი, ერთი დორი, ერთი ცხვარი, ათი ქათამი და ერთი ძროხა როცა სახლ კარ-მიდამოში აბადია, მას მეზობელთან საქმე აღარ აქვს. ქართლ-კახეთში, თუ ნახირი არ გავიდა სასოფლო, თუ სასოფლოდ არ აქვთ ვენახები შემოზღუდული, თუ ერთს დროს არა აქვთ რთველი, თიბვა, ხვნა და სოფელს ერთი პირი არ უჭირავს, დაიღუპებიან... იქნებ ამის ძალით დასავლეთის ინტელიგენციაში უფრო თავს ჩემულობს მარქსისტობა, ევროპიულ ინდუვიდუალიზმის მიმდევრობა.

საუბედუროდ, სათემო წესებს მეტი აბუჩობა დაუწყეს ჩვენში. საერთო საქმე მასხარად ხდება ჩვენ სოფლებში. ხალხსაც ამათგან, თუ სხვა რაიმე ძალით, მეტი განკერძოვება დაეტყო, ქარაფშუტა გლეხი მეურნე ყველგან თვალში გეჩხირება და გული გტკივა, როდესაც ჰხედავ, რომ კოოპერატიული წეს-წყობილება, რომელიც უნდა ქვაკუთხედ გახდეს ჩვენი ხალხის წინ-მსვლელობისთვის, აღარ მიეტმასნება ჩვენს ხალხს, რადგან ამისთანავე სარჩულზე აშენებული სათემო წესების პრინციპნი შეილახნენ-შეითუთხნენ...

მღვ. ზ. გულისაშვილი.

---

*) იხ. „ივერია“ № 223.

თეატრი და ხელოვნება

ამბობენ, რომ იმ არტისტებს, რომელნიც ატარებენ სახელს სახელმწიფო თეატრისას აღეკრძალებათ კერძო თეატრებში მონაწილეობის მიღებაო, როგორც სატახტო ქალაქებში, აგრეთვე პროვინციებში.

ნარკვევი

„С.-Петербургскія Вѣдомости“-ს მე-№ 252-ში პროფეს. ხახანაშვილს მოუთავსებია საყურადღებო წერილი ამ სათაურით: „როგორ უნდა გათავდეს ბერძენთა და ქართველთა საქმე ძველს ათონზე“. ავტორი ჯერ მოკლედ მოგვითხრობს ათონის ლავრის დაარსებას და დამაარსებელთა ამბავს, მერე შეეხება ბერძენთა და ქართველ ბერების ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და ასრულებს წერილს შემდეგის სიტყვებით:

> ყოველმა მშვიდობისა და თანხმობის მომხრემ უნდა გამოძებნოს ზომები და მით ვანარინოს არაწესიერი განწყობილება ბერძნის ბერებისა და ქართველ ბერების შორის. საჭიროა დავა დასრულდეს და დამყარდეს სიყვარული, რომლითაც ყოველთვის გამსჭვალულ იყო საქართველო საბერძნეთისადმი.

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ქართველ ბერებს, ჩემ იქ ყოფნისას, ვსთხოვე, გამოეთქვათ, რა პირობით ჰსურთ დავის გადაწყვეტა და ძმობისა და მშვიდობის დამყარება ბერძნებთანაო.

> იქაურ ბერების აზრით საქმის დაბოლოვება და მშვიდობის ჩამოგდება შეიძლება: ა) ქართველი ბერები ძმად მიიღონ ივერთ ლავრაში, ვითარცა კანონიერნი მემკვიდრენი ამ ლავრისა, ბ) თუ ივერიის ლავრაში ძმად ვერ მიიღებენ, რადგან ამ ლავრაში შემოღებულია იდიორიტმული ცხოვრება (ყველა ბერი სცხოვრობს ცალკე კელიაში და იკვებება ცალკე), იცნონ იგინი ძმად იმ პირობით, რომ იცხოვრონ ისევ დღევანდელს თავისს წმ. იოანეს სენაკში და გ) თუ ყოველივე ამას ბერძნები არ მოინდომებენ, ის მაინც ინებონ, რომ წმ. იოანეს სენაკი გამოაცხადონ სავანედ სავანეთა უფლებით (სენაკიცა და სავანეც ექვემდებარება მონასტერს, იმ განსხვავებითკი, რომ სენაკის გაყიდვა ყოველთვის შეუძლიან მონასტრებს და სავანესი-კი—არას დროს).

როგორც ჰხედავთო, დასძენს ავტორი, ქართველ ბერების მოთხოვნილება სულ მცირეა; მათ არ სურთ მთლად გაუბატონდნენ ივერიის ლავრას. როგორ ვიფიქროთ, რომ ამ მცირე სურვილსაც წინ აღუდგებიან და მართლ-მადიდებელი ბერძნები ძმად არ იცნობენ მართლ-მადიდებელ ქართველებს? 42 ქართველი-ბერი არ ემუქრება ბერძენთა 200 ჩოხოსანს, პირ-იქით მათ, თუ ქართველები შეიწყნარეს, სარგებლობაც ექნებათ: მთავრობა აღარ დაუჭერს 3,000 მანათს, რომელსაც ეხლა უჭერს ბესარაბიის მამულების შემოსავლიდამ ქართველებთან დავის გამო და აღარც შიში ექნებათ, რომ ბევრს სხვა შემოსავალსაც დაჰკარგვენ, მაგალ., 60,000 მან. მოსკოვის მამულებიდგან, თუ ქართველებთან არ მორიგდნენ.

წერილები რედაქციის მიმართ

I

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც ჩემის მხრივ, ისე სტეფან-წმინდელების მონდობილობით ფრიად პატივცემულ ქ-ნს ელისაბედ ნიკოლოზის ასულს ყაზბეკს, რომელმაც შემოსწირა სტეფან-წმინდის სახალხო უფასო სამკითხველოს და ადგილობრივ სკოლის წიგნთსაცავს ორასი (200) სხვა-და-სხვა წიგნი და ჟურნალი რუსულ და ქართულ ენებზე, თუთხმეტ თუმნად (150 მ.) ღირებული. ორი წელი ამ წიგნებისა ძვირფას უდაშია გაკეთებული. ორმოცდაათ წლებშიაც ბევრი წიგნები შეუწირავს ელისაბედს ხსენებულ სამკითხველოსათვის. ვისურვებთ მის დღეგრძელობას სამშობლო სოფლის საიმედოდ სოფლის ამგვარ გულ-შემატკივარ მანდილოსანთა გამრავლებას ჩვენ შორის. სხვათრივაც ბევრ შემწეობას გვიწევს საზოგადო საქმეში ეს პატიოსანი მანდილოსანი.

ბლაღ. მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი.

II

ჩოხატაურის სამკითხველო ამ ჟამად გაუქმებულია, მაგრამ გამოწერილ გაზეთების გზავნა არ შეჩერებულა, მოდის აქაურ ფოსტაში და იქავე რჩება; ასე რომ ტყუილ უბრალოდ გროვდება ფოსტაში; ამისათვის უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ მიერ გამოწერილ გაზეთების რედაქციებს შესწყვიტონ გზავნა და რედაქციაშივე შეინახონ, რისთვისაც დავრჩებით მეტად დავალებულნი.

გამგე სამკითხველოსი აზ. გიორგი გოჯასპის-ძე შარაშიძე.

წევრ. { ანტონ ქლენტი
მელიქაძე დავით.

„ივერიის“ ფოსტა:

ნიკოლოოზ ცოტანელს. თქვენი ლექსები „მგოსანს“ და „ჩვენი ივერია“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 ოკდომბერი.

სოფია. ბულგარიის სამხედრო დეპუტაცია იგზავნება კიშინევს მთავრის ფერდინანდისაგან, რათა მისი სურათი გადასცენ მინსკის პოლკს.

იალტა. 17 ოკდომბერს, საღამოს 7½ საათს, ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო ოსმალეთის მთელი საგანგებო საელჩო თურხან-რიზა-სადიკ-ფაშითურთ. საელჩომ მიართვა საჩუქრები სულთანისა. 8 საათს საელჩო მიწვეულ იქმნა სადილად, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორმა მიირთვა სადღეგრძელო სულთანისა.

ლონდონი. ბარონი სტაალი დილით წავიდა.

ბუქარესტი. ოფიციალური გაზეთები, განიხილავენ-რა, რომ მომავალს 25-ს ოკდომბერს რუმინიის მეფე ეწვევა ბოლგარიის მთავარს რუშჩუკში, სწერენ, პლევნაში წასვლის განზრახვა აქვთო და თანაგრძნობით ისსენიებენ ამას, ვითარცა მეზობელ ქვეყნებთან მეგობრობის გამომხატველს ნიშანს.

19 ოკდომბერი

იოკაგამა. ფლოტის გასაძლიერებლად საჭიროა წლიურად 16,500,000 იენი ათის წლის განმავლობაში.

ტიანძინი. ჩინელებმა ხელახლა შემოიღეს შინაურ ნაწარმოებზე ბაჟი.

ბაქო. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „ბაქო“-სი.

ლონდონი. გერმანიის ელჩი შანჩაიდგან ხანკოუში წავიდა.

გვატამალა. ვულკანის ამოხეთქა არ შეწყვეტილა. ყავის სანერგე ერთი საჟენის სიმაღლეზე დაფარულია სილით და ფერფლით.

ტომბადორი. ვულკანმა ამოხეთქა.

ბერლინი. მოსალოდნელია, რომ რეიხსტაგის უმრავლესობა მთავრობას დაეთანხმებაო, არ ეჭვობენ იმაში, რომ მთავრობა არ იყოს თანახმა პურზე გარდასახადის მომატებისა. მთავრობა ცდილობს აგრეთვე მცირე ბაჟი დაედვას იმ ნაწარმოებთ, როგორც მაგ. ქვავი, პური, ქერი და შვრია.

სოფია. ჯუმაის ახლო იმყოფება აჯანყებულთა კარგათ შეიარაღებული რაზმი. აჯანყება ისევ არსებობს. არაფერი იმის იანკოვის სიკვდილის შესახებ.

ლონდონი. თორმეტის დღის ბჭობის შემდეგ, საზოგადოებათა პალატამ, 165 ხმით წინააღმდეგ 69, შეიწყნარა საერო განათლების შესახები მუხლი კანონ-პროექტისა. მთავრობა დასთანხმდა, რომ ზოგიერთი რამ შესწორებულიყო. დათმობილ იქმნა ზოგი-რამ. ყველა წინადადება, რომელიც მთავრობამ არ ინდომა, უარყოფილ იქმნა შესამჩნევის უმრავლესობით.

ბერლინი. დანიის მემკვიდრემ სადილი მიირთვა თავის პოლკის ოფიცერთა საკრებულოში, წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა და ადღეგრძელა იმპერატორი და მისი სახლეულობა და უთავზა საკრებულოს ძვირფასი კათხა.

ხერსონი. გუბერნიის საერობო კრებამ წარმოსთქვა ის აზრი, რომ პოლიციას უფლება არა აქვს გზის ხარჯი ახდევინოს გარდაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანისათვის და დაადგინა, რომ ვისაც საერობო გარდასახიდი სრულიად არა აქვს შეტანილი, იმათ არ უნდა ჩამოერთვათ უფლება საარჩევნო კრებაზე დასწრებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . . . მამულო ბანკისა .	94½
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	288 გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82¼ მყიდ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89⅜ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,400 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	365 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	190 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, მათაშვილის, [illegible] თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-პადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ამა ოკტომბრის 27, კვირას, ქ. ოზურგეთში, **გურიის ამხანაგობა „შუამავლის“** კანტორაში დანიშნულია ამ ამხანაგობის წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. განსახილველი კითხვებია: 1) გამგეობის მოხსენება წრევანდელი წარმოების შესახებ. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება ამავე საგნის შესახებ 3) საშუალების მოძებნა დარჩენილი ვალების გადასახდელათ.

შენიშვნა: ა) უკეთუ საშუალება ვერ აღმოაჩინა კრებამ, იმ შემთხვევაში ამხანაგობის გამგე—იოსებ ლაზარეს ძე ქუთათელაძე თხოულობს გამგის თანამდებობისაგან განთავისუფლებას. ამისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევისათვის, წევრებმა წინდაწინვე მონახონ და იყოლიონ მის მაგიერ დასაყენებელი კაცი. 4) მოლაპარაკება და გეგმის შედგენა მომავალი წლის წარმოების დასაწყებათ. 5) და განხილვა ყველა იმ კითხვებისა, რომლებიც წამოყენებული იქნება წევრთაგან თვით კრებაზე.

მმართველი **იოსებ ლ. ქუთათელაძე**

(2—6.—1).

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Парфюмерія
„Рояль—Ралле“

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
(წ.)

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი აბაშიძისა № 7.

[illegible] ქ. 69.

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.
დიდ-ძალი მეტალის ფირფიტები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.
ფირფიტების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.
კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.
კომპანია ბუღდავანომს კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.
მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.
გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.
ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სასახევროდ კამპანია კისრულობს.
კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღიაა დილის 8½ საათიდგან საღამოს 9 საათამდე.
შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.
ნაღდად მყიდველთ ახალი პრეისკურანტები ეგზავნებათ მოთხოვნილებისამებრ. (10—434—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кп. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.